შენიშვნა: უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2018 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ადვოკატის საჩივარი; გაუქმდა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 12.10.2017 წ. გადაწყვეტილება და შეწყდა ადვოკატ ა. გ-ის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება ხანდაზმულობის გამო (საქმე Nსპ-02-18)

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი - კომისიის თავმჯდომარე
ქეთევან უტიაშვილი - კომისიის წევრი
პავლე აბაიაძე - კომისიის წევრი
თეა ჭეიშვილი - კომისიის წევრი
ნელი ვარდიაშვილი - კომისიის წევრი
ნათია კორკოტაძე - კომისიის წევრი
ინგა სეხნიაშვილი - კომისიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე - კომისიის წევრი
გოჩა სვანიძე - კომისიის წევრი
ხათუნა გრიგალაშვილი - კომისიის წევრი
ია გაბედავა - კომისიის წევრი
სულხან ონიანი - კომისიის წევრი

საჩივრის ავტორი - გ. ლ.
საჩივრის კოლეგიაში შემოსვლის თარიღი: 29.09.2014
საჩივრის რეგისტრაციის №069/14
საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ ა. გ. მიმართ მიმართ, /სიითი №/
საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ა. გ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ლ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. გ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2009 წლის 15 ოქტომბერს გააფორმა ნოტარიულად დამოწმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 3 თვის ვადით, სესხის თანხა შეადგენდა 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარს 7%-იანი სარგებლით. გ. ლ.-ის განმარტებით, მან გადაიხადა ორი თვის სარგებლის თანხა, თუმცა ვერ მოახერხა მესამე თვის სარგებლის თანხის გადახდა, რადგან ფულადი თანხა გამოიყენა ციტრუსის ბიზნესში, რომელიც წარუმატებლად განვითარდა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით, იპოთეკარმა მიმართა კერძო არბიტრაჟს, რომელმაც დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და გ. ლ.-ს დაეკისრა შემდეგი რაოდენობის თანხის გადახდა: სესხის ძირითადი თანხა 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი, ორი თვის სარგებელი 4900 (ოთხიათას ცხრაასი) აშშ დოლარი, პირგასამტეხლო 0.3 % - 3855 (სამიათას რვაას ორმოცდათხუთმეტი) აშშ დოლარი, პროცენტისათვის 441 (ოთხას ორმოცდაერთი) აშშ დოლარი, საარბიტრაჟო შენატანი 1090 (ათას ოთხმოცდაათი) აშშ დოლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მას ზედმეტად დაეკისრა ერთი თვის პირგასამტეხლოს თანხის-1628 (ათას ექვსას ოცდარვა) აშშ დოლარის და ერთი თვის სარგებლის-2450 (ორიათას ოთხას ორმოცდაათი) აშშ დოლარის გადახდა. გ. ლ. აღნიშნავს, რომ საქმე გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, თუმცა, იპოთეკარმა და კერძო აღმასრულებელმა არ შეატყობინეს სააპელაციო სასამართლოს სხდომის ჩატარების თარიღი, შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო მისი მონაწილეობის გარეშე.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით, მან და მისმა მეუღლემ-მ. ნ. სამართლებრივი დახმარებისათვის მიმართეს ადვოკატებს-მეუღლეებს, ნ. კ.-ს და ა. გ.-ს. რწმუნებულება გაიცა ორივე პირზე გ. ლ.-ის მიერ.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მათი ქონება შეფასდა კერძო აუდიტის მიერ 400 000 (ოთხასი ათასი) აშშ დოლარად და გავიდა აუქციონზე. გ. ლ.-ის განმარტებით, ნ. კ.-მ და ა. გ.-მ დააკავშირეს მათ მეგობარ თურქ ბიზნესმენს-ქ. .ქ.-ს, რომელმაც მ. ნ.-ის ხელწერილის საფუძველზე ასესხა 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარი, ხოლო ერთი დღით ადრე, ნ. კ.-ის სხვა ახლობელმა ასესხა საჩივრს ავტორს 7000 (შვიდი ათასი) აშშ დოლარი. გ. ლ. აღნიშნავს, რომ ნასესხები თანხა ნ. კ.-მ ჩარიცხა საკუთარ ანგარიშზე და არ განახორციელა არანაირი გადარიცხვა კერძო აღმასრულებლის ან იპოთეკარისათვის, ან მორიგების მიზნით არ განხორციელებულა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, პირველ აუქციონზე უძრავი ქონება არ გაიყიდა, ხოლო განმეორებით აუქციონზე მიიღო მონაწილეობა ა. გ.-მ, მისი ცოლის ნოტარიული მინდობილობით. აუქციონზე მონაწილეობის თანხა - 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარი გადაიხადა საჩივრის ავტორის მხარემ, რადგან აღნიშნულ ნასესხებ თანხას განკარგავდა მეუღლე ნ. კ..

გ. ლ.-ის განმარტებით, მისმა შვილებმა სთხოვეს ა. გ.-ს, რომ ბილეთში ნ. კ.-სთან ერთად დაფიქსირებულიყო ერთ-ერთი მათგანი, რაზეც უარი მიიღეს, რადგან ა. გ. აცხადებდა, რომ ნ. კ.-ის მოძიებულ თანხებს თავად ნ. კ. განაგებდა, ამიტომ საცხოვრებელი ფართი მხოლოდ მის საკუთრებაში აღირიცხებოდა და მხოლოდ თანხის დაბრუნების შემდეგ გადაეცემოდა საჩივრის ავტორს.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, უძრავი ქონების გასაყიდი ფასი აუქციონზე განისაზღვრა 44 686 (ორმოცდაოთხიათას ექვსას ოთხმოცდაექვსი) აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო მყიდველად გამოცხადდა ნ. კ., რის შედეგადაც თანხა ჩაირიცხა აჭარის სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე. 2011 წლის 24 თებერვალს საჯარო რეესტრის მონაცემებში ნ. კ. აღირიცხა ბინის მესაკუთრედ. გ. ლ.-ის განცხადებით, საჯარო რეესტრის ამონაწერში აღნიშნულია, რომ უძრავი ქონება შეძენილია აუქციონის შედეგად, რაც იწვევდა პოტენციური იპოთეკარებისა თუ სხვადასხვა ბანკების უარს ურთერთობაზე, მათ შორის ა. გ.-ისა და ნ. კ.-ის მიერ მითითებული იპოთეკარების უარს.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატისა და მისი მეუღლის მხრიდან ხორციელდებოდა შანტაჟი-ნ. კ. აცხადებდა, რომ სახლს გადააფორმებდა ინდოელ რაჯიზე, რომელიც იყო ქ. .ქ.-ის ბიზნესპარტნიორი, რადგან თითქოს მან თანხის ნახევარი გადასცა ქ. .ქ.-ს, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ქ. .ქ. აცხადებდა, რომ თანხა სრულად მისი იყო. ასევე, იყო საუბრები, რომ ბინა გადაფორმდებოდა ნ. კ.-ის დის სახელზე ან რომელიმე იპოთეკარზე.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. ნ.-სთან ნ. კ.-ს და ა. გ.-სთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ და მათი ბინის გვერდით აცხოვრებდნენ, თუმცა, აუქციონის ჩატარების შემდეგ ურთიერთობა შეიცვალა. გ. ლ.-ის განცხადებით, ადვოკატთან და მის მეუღლესთან საუბრის შემდეგ იცვლებოდა ქ. ქ.-ის პოზიცია საჩივრის ავტორის მხარის საზიანოდ. ადვოკატი დამატებით ითხოვდა საადვოკატო მომსახურებისათვის სააღსრულებო ბიუროში შეტანილი თანხის 10 %-ს - 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარს, ხოლო ექვსი თვის შემდეგ საცხოვრებელ ფართზე საკუთრება გადავიდა ინდოელ შ. პ. ბ.-ზე - ქ. .ქ.-ის ბიზნესპარტნიორზე, თანხის დაბრუნების გარანტიის გამო.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან და მისმა მეუღლემ მიმართეს ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურას ადვოკატისა და მისი მეუღლის მიერ თაღლითობის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით, თუმცა, ეს საქმე შეწყდა. ამის შემდეგ, მ. ნ. სცადა მოლაპარაკება ნ. კ.-სთან, ქ. თ.-სთან და შ. პ. ბ.-სთან, მაგრამ უშედეგოდ.

1.11 2014 წლის 15 ნოემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა, მ. ნ. განაცხადა, რომ მისი საჩივრის ირგვლივ განხორციელებულ ქმედებებს განკარგავდა ნ. კ., ხოლო ფიზიკურად შემსრულებელი იყო ადვოკატი ა. გ..

1.12 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, 2014 წლის 14 დეკემბერს ნ. კ.-მ გამოგზავნა გამოსახლების თაობაზე წერილი, სადაც დაფიქსირებული იყო მისი მოთხოვნა, თუმცა, მ. ნ.-ის განმარტებით, მისი თბილისში ჩამოსვლისა და თხოვნის შედეგად გამოსახლება დროებით შეჩერდა. მ. ნ.-ის განცხადებით, მას ურჩიეს, რომ მიემართა პროკურატურისათვის განცხადებით, რათა საცხოვრებელ ბინაზე დადებულიყო ყადაღა, რის შედეგად აღიძრა თაღლითობის შესაძლო ფაქტზე.

1.13 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, შ. პ. ბ.-ის წარმომადგენლები იყვნენ ნ. კ. და ა. გ., რომელმაც შემდეგ გადაანდო ინდოელი პიროვნების წარმომადგენლობა ადვოკატ ზ. დ.-ს. მ. ნ.-ის განცხადებით, ა. გ.-მ მას სამი თვის შემდეგ, საერთო ნაცნობის მეშვეობით გადასცა, რომ 3000 აშშ დოლარის გადახდის შემთხვევაში ერთი თვის ვადით შეაჩერებდა გამოსახლების პროცესს.

1.14 პირველი კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2016 წლის 22 აპრილს. ეთიკის კომისია დაუკავშირდა საჩივრის ავტორსა და მის წარმომადგენელს როგორც მითითებულ მისამართზე ფოსტის მეშვეობით, ასევე, მითითებულ ტელეფონის ნომერზე. თუმცა, საფოსტო გზავნილის პასუხად არც ერთი მათგანი არ დაუკავშირდა კომისიას, ხოლო სატელეფონო ნომერს ან პასუხობდა სხვა პირი, რომელიც აცხადებდა, რომ გ. ლ. უცხოეთში იყო, ან სატელეფონო კავშირი არ მყარდებოდა.

მიუხედავად ეთიკის კომისიის აპარატის შეთავაზებისა ამ პირისადმი, რომ თავად გ. ლ. დაკავშირებოდა კომისიას, აღნიშნული არ განხორციელდა.

1.15 ეთიკის კომისიის სხდომა გაიმართა 2017 წლის 12 ოქტომბერს. ეთიკის კომისიის აპარატი, როგორც განხილვის სხდომასთან დაკავშირებით, მცდელობის მიუხედავად ვერ დაუკავშირდა საჩივრის ავტორ მხარეს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატმა ა. გ.-მ ეთიკის კომისიას წერილობითი ახსნა-განმარტებით მომართა 2014 წლის 27 ოქტომბერს. ადვოკატის განცხადებით, 2010 წლის შემოდგომაზე მის მეუღლეს-ნ. კ.-ს დაუკავშირდა მეგობარი და სთხოვა დახმარებოდა პიროვნებას, რომლის ქონებაც უნდა გაყიდულიყო აუქციონზე, რადგან ვერ ასრულებდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრ-თანხის გადახდის ვალდებულებას. ეს პიროვნება იყო ბათუმელი მ. ნ.. ადვოკატის განმარტებით, იპოთეკართან მოლაპარაკების მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა.

2.2. ადვოკატის განმარტებით, მ. ნ. ცხოვრობდა მის სახლში, შემდეგ ჩამოვიდა მისი მეუღლე, საჩივრის ავტორი გ. ლ. და იმყოფებოდნენ მუდმივად ადვოკატთან ერთად. ა. გ.-ის განცხადებით, საჩივრის ავტორმა და მისმა მეუღლემ შეიტყვეს, რომ ჰყავდა უცხოელი მეგობრები, რომელთა არაერთგზისი შეწუხების შემდეგ მათ გადაწყვიტეს ესესხებინათ თანხა ნ. კ.-ისათვის საჩივრის ავტორის ქონების გამოსასყიდად, ერთი თვის ვადით. ადვოკატის განმარტებით, გ. ლ. უთითებდა, რომ თანხას ერთ თვეში დააბრუნებდა, თუმცა, ეს არასწორი აღმოჩნდა. ბინა აუქციონზე შეძენილ იქნა ნ. კ.-ის სახელით.

2.3. ადვოკატის განცხადებით, 2011 წლის აგვისტოში მას და მის მეუღლეს ისანი-სამგორის პოლიციიდან შეატყობინეს, რომ შესული იყო განცხადება მათ წინააღმდეგ, შესაძლო თაღლითობის ჩადენასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, ა. გ.-ის განმარტებით, სესხის თანხის მესაკუთრემ, თანხის დაკარგვის შიშის საფუძველზე, მოითხოვა საცხოვრებელი ფართის გადაფორმება. სახლი გადაფორმდა 2011 წლის 08 სექტემბერს. ა. გ. აღნიშნავს, რომ გ. ლ. და მისი მეუღლე მას აღარ ეკონტაქტებოდნენ-მათ ურთერთობა ჰქონდათ თანხის მესაკუთრესთან.

2.4. ადვოკატის განმარტებით, იმ დროს, როდესაც სახლი გაფორმებული იყო ნ. კ.-ის სახელზე, თუმცა, მას საცხოვრებლით არ უსარგებლია-სახლში ცხოვრობდნენ გ. ლ. და მისი ოჯახის წევრები. ა. გ.-ის განცხადებით, 2012 წლის ოქტომბერში სახლის ახალმა მესაკუთრემ მიმართა პოლიციას განცხადებით სახლში მცხოვრები პირის გამოსახლების მოთხოვნით, თუმცა, გამოსახლება შეჩერდა ნ. კ.-ის განცხადების საფუძველზე. ა. გ. აღნიშნავს, რომ მისი მეუღლე მოქმედებდა მინდობილობის საფუძველზე.

2.5. ადვოკატის განცხადებით, გ. ლ. სესხის თანხას არ იხდიდა, თუმცა, როდესაც გარკვეული დროის შემდეგ საჩივრის ავტორის მხარე დაუკავშირდა ნ. კ.-ს, ისინი ბოდიშს უხდიდნენ მას და აცხადებდნენ, რომ ხელი შეცდომით მოაწერინეს განცხადებაზე, არ იყვნენ მათი წინააღმდეგი და ნ. კ. მათთვის ყველაფერი იყო.

2.6. ადვოკატის განმარტებით, გამოსახლების პროცესის განახლების შემდეგ გ. ლ. და მისი მეუღლე მივიდნენ მასთან სახლში, მაგრამ უარი უთხრა მიღებაზე, რადგან მათ, ადვოკატის მოსაზრებით, ღირსება შეულახეს მას. ა. გ.-ის განცხადებით, საჩივრის ავტორსა და მის მეუღლეს არ გადაუხდიათ მომსახურების ანაზღაურების თანხა და პირდებოდა სამომავლო გადახდას.

2.7. ადვოკატის განცხადებით, მას არ დაურღვევია პროფესიული ეთიკის ნორმები, ასევე, მას არ აქვს საქმესთან კავშირი, რადგან 2011 წლის ივლისის შემდეგ საჩივრის ავტორის მხარესთან კონტაქტი შეწყდა. ა. გ.-ის განმარტებით, 2011 წლის ივლისში მის წინააღდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა 2014 წლის 30 აპრილს.

2.8. 2014 წლის 15 ნოემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ იგი წარმოადგენდა მ. ნ.-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოში კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების საკითხთან დაკავშირებით, რის შედეგად შემცირდა მ. ნ.-სათვის დაკისრებული პირგასამტეხლო.

2.9. ადვოკატის განმარტებით, მან და მისმა მეუღლემ მოახერხეს და მოუძიეს 47 000 (ორმოცდაშვიდი ათასი) აშშ დოლარი სესხის სახით. საჩივრის ავტორის ოჯახს სულ გადასახდელი ჰქონდა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი. ა. გ.-ის განცხადებით, მას საჩივრის ავტორისათვის არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება და მხოლოდ ადამიანურად დაეხმარა მის ოჯახს, ხოლო ამ დახმარების შემდეგ მათთან საქმიანი ურთიერთობა აღარ ჰქონდა.

2.10. ადვოკატის განცხადებით, შ. პ. ბ. ითხოვდა თანხის დაბრუნებას ან მის სანაცვლოდ საცხოვრებელი ფართის მესაკუთრედ დარეგისტრირებას, რის გამოც ა. გ.-სა და მის მეუღლეს არ ჰქონდათ სხვა გამოსავალი. შ. პ. ბ. აცხადებდა, რომ თანხის დაბრუნების შემდეგ საცხოვრებელი ფართის მესაკუთრის სტატუსს დაუბრუნებდა გ. ლ.-ს. ა. გ.-ის განმარტებით, საცხოვრებელი ბინის აუქციონზე შესყიდვის შემდეგ დასრულდა მასსა და საჩივრის ავტორს შორის ურთერთობა.

2.11. ადვოკატის განმარტებით, მისი და მისი მეუღლის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში საჩივრის ავტორი და მისი მეუღლე დაზარალებულადაც კი არ ცნეს და საქმის წარმოება შეწყდა.

2.12. ადვოკატის განცხადებით, იგი საქმის კლიენტისათვის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მიიღებდა თანხის 10%-ს. ადვოკატის განმარტებით, მან და მისმა მეუღლემ უარი განუცხადეს შ. პ. ბ.-ს საჩივრის ავტორისა და მისი მეუღლის გამოსახლების საქმეზე რაიმე სახის მონაწილეობაზე და ინდოელმა პიროვნებამ, ა. გ.-ისა და მისი მეუღლის ნაცვლად მინდობილობა გააფორმა ა. გ.-ისათვის სანდო პიროვნებაზე, ადვოკატ ზ. დ.-ზე.

2.13. პირველი კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2016 წლის 22 აპრილს. ა. გ.-ის განცხადებით, იგი წარმოადგენდა გ. ლ.-სა და მის მეუღლეს ორ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოსა და აუქციონზე, თუმცა, აუქციონზე იგი უშუალოდ მონაწილეობდა როგორც ნ. კ.-ის წარმომადგენელი.

2.14. ადვოკატის განმარტებით, მის საქმესთან დაკავშირებით ისანი-სამგორის რაიონის პოლიციაში დაიწყო გამოძიება, რის შედეგადაც იგი და რამდენიმე პიროვნება დაიკითხნენ. საბოლოოდ, საქმის გამოძიება შეწყდა. ამის შემდეგ, გ. ლ.-ის მხარემ ეთიკის კომისიას მიმართა საჩივრით, სხვა პიროვნებების რჩევით.

2.15. ადვოკატის განცხადებით, 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის თანხა - პირველადი თანხა აუქციონზე მონაწილეობის მისაღებად, ჩაირიცხა ნ. კ.-ის ანგარიშზე. ხელწერილის მიხედვით, ნ. კ. იყო ერთ-ერთი მსესხებელი და თუ არ გადაიხდიდა თანხას გ. ლ.-ის მხარე, ვალდებულება გადადიოდა ნ. კ.ზე. ადვოკატის განმარტებით, თავად მ. ნ., გ. ლ.-ის მეუღლემ და საჩივრის ავტორმა სთხოვეს ა. გ.-ს აუქციონზე მონაწილეობის მიღება. არსებობდა ზეპირი შეთანხმება, რომ თუ გ. ლ. არ დააბრუნებდა თანხას, მაშინ აღსრულება მოხდებოდა ბინის უზრუნველყოფით.

2.16. ადვოკატის განმარტებით, 2011 წლის თებერვალში ქონება გაფორმდა ნ. კ.-ის სახელზე, ხოლო სექტემბერში, გამსესხებლის სახელზე, გარანტიის სახით. ამის შესახებ გ. ლ.-ის მხარე ინფორმირებული იყო. ა. გ.-ის განცხადებით, იგი საქმის დაწყებამდე არ იცნობდა გ. ლ.-ს და მის მეუღლეს, ხოლო მისი ინტერესი იყო საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში საჩივრის ავტორის მიერ მიღებული თანხის 10%-ის ჰონორარის სახით მიღება.

2.17. ადვოკატის განცხადებით, ბინა ფორმალურად გაფორმდა ნ. კ.-ის სახელზე, ხოლო რეალურად მესაკუთრე უნდა ყოფილიყო მ. ნ., თანხის დაბრუნების შემდეგ. თანხის გამსესხებელს არ აინტერესებდა, თუ ვინ მიიღებდა მონაწილეობას აუქციონზე, ხოლო ვინაიდან მ. ნ.-ს არ უთხოვია აუქციონზე მონაწილეობის მიღება, დარეგისტრირდა მხოლოდ ნ. კ.. ა. გ.-ის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენდა გ. ლ.-ისა და მისი მეუღლის ინტერესებს, მნიშვნელობა არ ჰქონდა ვინ მიიღებდა ოფიციალურად აუქციონში მონაწილეობას და არ ურჩევია მ. ნ.-ისათვის აუქციონში მონაწილეობის მიღება. ადვოკატის განმარტებით, მ. ნ.-ს კვლავ აქვს ვალი დამატებით 7 000 (შვიდი ათასი) აშშ დოლარი, ხოლო მის მიერ გადახდილ იქნა 5 000 (ხუთი ათასი) ლარი აუქციონისათვის.

2.18. ადვოკატის განმარტებით, მან დაიცვა მისი კლიენტის ინტერესები, ხოლო ურთიერთობა ფაქტობრივად შეწყვიტა მას შემდეგ, რაც გ. ლ.-მ და მისმა მეუღლემ მიმართეს პროკურატურას.

2.19. ეთიკის კომისიის სხდომა გაიმართა 2017 წლის 12 ოქტომბერს. სხდომაზე ადვოკატთან ერთად გამოცხადდნენ მისი წარმომადგენლები ლალი ბუნტური და ელიდა გოდერძიშვილი. მათ დაადასტურეს კომისიაში ადვოკატის მხარის მიერ წარმოდგენილი პოზიცია. ადვოკატმა დამატებით განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე, როდესაც მან დაიწყო ურთიერთობა საჩივრის ავტორის მხარესთან, სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლობისას მოქმედებდა რწმუნებულების საფუძველზე, ხოლო წერილობითი ხელშეკრულება მხარეთა შორის არ არსებობდა, თუმცა, რასაკვირველია, იგი მოქმედებდა, როგორც ადვოკატი.

2.20. ადვოკატის განმარტებით, აუქციონზე იგი იმყოფებოდა მხოლოდ როგორც ნ. კ.-ის წარმომადგენელი და არა გ. ლ.-ისა და მისი მეუღლის, ვინაიდან თანხას ბიზნესმენები მხოლოდ ნ. კ.-ს ანდობდნენ. თანხის მსესხებელი იყო ნ. ნ.-ცა და ნ. კ.-ც, თუმცა, რეალურად თანხა გადაეცა ნ. კ.-ის ნ. ნ.-ის ბინის საკუთრებაში დასაბრუნებლად. ნ. კ.-ის გარეშე მას თანხა არ გადაეცემოდა.

2.21. ადვოკატის განცხადებით, ბინის გაყიდვა და თანხის დაფარვა შესაძლებელი იყო, თუმცა, გ. ლ.-ს არ ჰქონდა სურვილი ბინა გაეყიდა. გამოსახლება საჩივრის ავტორის მხარის დღემდე არ მომხდარა.

2.22. ადვოკატის წარმომადგენლის, ლალი ბუნტურის განცხადებით, იგი თავიდანვე იცნობდა საქმეს. ა. გ.-ს არ სურდა საქმის დაწყება, თუმცა, ვინაიდან მისი მეუღლის შუამავლობით დაუკავშირდნენ მას კლიენტები, უარი ვერ თქვა. ნ. ნ.-მ და მისმა მეუღლემ „იშოვეს“ გარკვეული თანხა, რათა მიეღოთ საკუთრების წილი, თუმცა, რეალურად, ეს თანხა იყო ძალიან მცირე.

2.23. ადვოკატის წარმომადგენლის, ელიდა გოდერძიშვილის განცხადებით, გ. ლ. ნ. კ.-ს პატიებას სთხოვდა პროკურატურაში შეტანილი განცხადების გამო და უცხადებდა, რომ მას ეს განცხდება დააწერინა სხვამ და მას არ სურდა პროკურატურისათვის მიმართვა.

2.24. ადვოკატის განმარტებით, მინდობილობა მის სახელზე გაცემული იყო უვადოდ. მინდობილობა შეწყდა ფაქტობრივად 2011 წლის ივლისის თვეში. აუქციონზე მონაწილეობისას მინდობილობა ძალაში იყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. ნ.-ს 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი ჰქონდა ვალი, ხოლო ქონება აუქციონზე შესყიდული იყო 49 000 (ორმოცდაცხრა ათასი) აშშ

დოლარად. მცდელობა თანხის აუქციონამდე გადაცემისა იყო, მაგრამ გ. ლ.-ის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს ჰქონდა ბინის ინტერესი და უარს აცხადებდა. რაც შეეხება თანხის დეპოზიტზე დადებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევას, ეს კონსულტაცია მხარეს გაეწია, მაგრამ პროცესუალური მოწინააღმდეგე უარზე იყო. ასევე, აღმასრულებლისათვის თანხის გადაცემის სახით ვალდებულების შესრულებაზე თავად გ. ლ.-ის მხარე იყო უარზე, თანხის ნაწილობრივ ან სრულად გადაცემაზეც.

2.25. ადვოკატის განცხადებით, აუქციონში მონაწილეობის მიღებამდე ის შეხვდა გ. ლ.-ის მხარეს, ხოლო აუქციონის დროს ისინი მას თან ახლდნენ. აუქციონზე მონაწილეობისათვის აუცილებელი ბეს თანხა გადაიხადა ნ. ნ.-ის შვილმა, ი. ნ.-მ, თუმცა, ვისი სახელით, ეს ადვოკატს არ ახსოვს. ნ. ნ.-ის ოჯახმა ვალების გამო უარი თქვა აუქციონზე მონაწილეობის მიღებაში.

2.26. ადვოკატის წარმომადგენლის, ლალი ბუნტურის განმარტებით, სწორედ ნ. კ.-ის დახმარებით დარჩა ბინაში არსებული მოძრავი ნივთები ნ. ნ.-ის მხარეს, ვინაიდან აღმასრულებელს, დავალიანების გადასახდელად, რომელიც აუქციონზე ბინის გაყიდვის შედეგად ვერ დაიფარა, სურდა მოძრავი ნივთების დაყადაღება, მაგრამ ნ. კ.-მ მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ მოძრავი ნივთები უკვე მის საკუთრებაში იყო.

2.27. ადვოკატის განცხადებით, იგი არ არის საქმის კურსში დაუბრუნდა თუ არა ა. ა.-ს ნ. ნ.-ის მიერ ნასესხები თანხა. რაც შეეხება სესხის ხელწერილში ნ. ნ.-ის მითითებას, ეს მოხდა იმიტომ, რომ ნ. ნ., მიუთითებლობის შემთხვევაში, ისარგებლებდა სიტუაციით და განაცხადებდა, რომ აღნიშნული თანხის დაბრუნება არ წარმოადგენდა მის ვალდებულებას. შესაბამისად, მისი მითითება მოხდა თანხის გამსესხებლების მოთხოვნით.

2.28. ადვოკატის განმარტებით, იგი სპეციალური მითითების მინდობილობით წარმოადგენდა ნ. კ.-ის, როგორც ბინის შემძენის ინტერესებს აუქციონზე. ამავდროულად, მას ჰქონდა მოქმედი მინდობილობა და წარმოადგენდა გ. ლ.-ის და მისი მხარის ინტერესებს, რომლის საკუთრებაშიც იყო აღნიშნული ბინა. ამის მიუხედავად, ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს, რადგან ყველა მოქმედება სრულდებოდა გ. ლ.-ის თანხმობით. ასევე, ნ. კ. თავადაც წარმოადგენდა გ. ლ.-ის მინდობილ პირს, რაც ადასტურებს მათ შეთანხებას.

3. მოწმის პოზიცია:

3.1. მოწმე ნ. კ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობით ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2014 წლის 27 ოქტომბერს. მოწმის განცხადებით, ის დაეხმარა საჩივრის ავტორის ოჯახს არა როგორც იურისტი, არამედ როგორც ადამიანი. მოწმის განმარტებით, არასწორია საჩივრის ავტორის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მან პირობა მისცა გ. ლ.-ის თანხის მოძიებასთან დაკავშირებით.

3.2. მოწმის განმარტებით, გ. ლ.-ის მეუღლეს ღამის გასათევი არ ჰქონდა თბილისში, ჩამოსული იყო ბათუმიდან და იმყოფებოდა მასთან. ნ. კ.-ის განცხადებით, გ. ლ. და მისი მეუღლე მუდმივად ურთიერთობაში იყვნენ აღნიშნულ უცხოელ პირებთან იმისათვის, რომ ესესხებინათ თანხა. უცხოელმა პირებმა-ქ. ქ.-მ და შ. პ. ბ-მ თანხა გადასცეს ნ. კ.-ს და მის დაბრუნებაზე პასუხისმგებლობა მას დააკისრეს. მოწმის განცხადებით, გარკვეული ხნის შემდეგ, გ. ლ. მივიდა მასთან და პატიებას სთხოვდა, აცხადებდა, რომ პროკურატურაში მიმართვა შეცდომა იყო და შეცდომაში შეიყვანეს.

3.3. მოწმის განცხადებით, მისი მეუღლე საქმესთან დაკავშირებული არ არის. ის მონაწილეობას იღებდა სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებაში და აუქციონზე, ნ. კ.-ის

მინდობილობით. მოწმის განმარტებით, იგი ავადმყოფი ადამიანია და ამიტომ სთხოვა მეუღლეს აუქციონში მონაწილეობის მიღება.

3.4. მოწმის განმარტებით, მისი და მისი მეუღლის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, რაც გულისხმობს, რომ მასა და ა. გ.-ს არ განუხორციელებიათ უკანონო ქმედება. მოწმის განცხადებით, მან გ. ლ.-ის სახლი ოფიციალურად გააფორმა შ. პ. ბ.-ის საკუთრებაში მას შემდეგ, რაც, საჩივრის ავტორის მხარემ მათ წინააღმდეგ მიმართა პროკურატურას.

3.5. 2014 წლის 17 ნოემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმე ნ. კ.-მ განაცხადა, რომ ადვოკატი ა. გ. გ. ლ.-ის მხარეს წარმომადგენლობას ახორციელებდა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც შემცირდა კერძო არბიტრაჟის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა.

3.6. მოწმის განმარტებით, მ. ნ.-ს, ამ საქმეში არსებული იპოთეკარის გარდა ჰყავდა სხვა მოვალეებიც, ამიტომ ის კმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ საცხოვრებელი ფართის ოფიციალური მესაკუთრე გახდა ნ. კ., რადგან მ. ნ.-ს ან მის რომელიმე ნათესავს ვალდებულების შესრულებას ვეღარ მოსთხოვდნენ. მოწმის განცხადებით, საჩივრის ავტორის მხარესთან შეთანხმებული იყო ა. გ.-ის აუქციონში მონაწილეობის საკითხი.

3.7. მოწმის განცხადებით, იგი ოფიციალურ მესაკუთრედ დროებით დარეგისტრირდა და თანხის გადახდის შემდეგ აპირებდა აღნიშნული საცხოვრებელი ფართის ოფიციალური მესაკუთრის სტატუსის გ. ლ.-ისათვის დაბრუნებას. მოწმის განმარტებით, ის არ ერეოდა საჩივრის ავტორის მხარის მიერ წარმოებულ გარიგებებში და მას არ აწვდიდნენ ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ.

3.8. მოწმე ნ. კ.-მ ეთიკის კომისიაში დამატებითი ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2016 წლის 04 მაისს. მოწმის განმარტებით, მხარეებს შორის ურთიერთობა დაიწყო 2010 წლის ბოლოს. ნ. კ.-ს დაურეკა მისმა მეგობარმა და განუცხადა, რომ მის ნაცნობს სურდა სამართლებრივი დახმარება. ეს პიროვნება იყო მ. ნ.. იმ დროს ნ. კ.-მ გასცა კონსულტაცია იპოთეკის თაობაზე. მოწმის განმარტებით, რამდენიმე თვის შემდეგ მას კვლავ მიმართა მ. ნ. და განუცხადა, რომ საცხოვრებლის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა.

3.9. მოწმის განცხადებით, მინდობილობა გაფორმდა ნ. კ.-ის სახელზე კერძო აღმასრულებელთან წარმომადგენლობისათვის. შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ ბინის გაყიდვის საფრთხე არსებობდა. ასევე, მინდობილობა გაფორმდა ა. გ.-ის სახელზე, რადგან თავად ნ. კ. ვერ მიიღებდა მონაწილეობას სააპელაციო სასამართლოში განხილვაზე. აპელაციაში საქმე ეხებოდა პროცენტის შემცირებას.

3.10. მოწმის განმარტებით, მისი მიზანი იყო გ. ლ.-ის დახმარება და სწორედ ამიტომ იყო თანხა მიღებული მისი ჩარევით, ხოლო თანხის მიღების მიზანი იყო გ. ლ.-ის ბინის აუქციონზე შეძენა. გ. ლ.-სა და მის მეუღლეს ჰქონდათ დიდი ოდენობის თანხა სესხად აღებული, შესაბამისად, არ წამოჭრილა საკითხი მათ აუქციონში მონაწილეობაზე და მესაკუთრედ გაფორმებაზე. აუქციონის შემდეგაც დაფიქსირდა ფაქტი, რომ გ. ლ.-ს მოძრავ ნივთებს უყადაღებდნენ ვალების გამო, ხოლო ნ. კ.-ის დახმარებით აღნიშნული შეჩერდა.

3.11. მოწმის განცხადებით, იგი წარმოადგენდა შუამავალს სესხის ხელშეკრულების დადებისას და მას ყველა ენდობოდა, ამიტომ ბინის მესაკუთრედ დარეგისტრირდა სწორედ იგი. მოწმის განმარტებით, გარკვეული ხნის შემდეგ ქ. .ქ.-ის ძმას სურდა საცხოვრებლის ყიდვა, მაგრამ მ. ნ.-ის ვაჟს არ სურდა

მისი გაყიდვა. მათ, ზოგადად, არ სურდათ გაყიდვა, ხოლო ვალის გადახდას აპირებდნენ სახლის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების გზით.

3.12. მოწმის განმარტებით, სახლის შემდგომი - შ. პ. ბ.-ზე გადაფორმების მიზეზი იყო ერთის მხრივ ის, რომ საჩივრის ავტორმა მისი და ა. გ.-ის წინააღმდეგ პროკურატურას მიმართა განცხადებით და დაიკითხა თანხის გამსესხებელიც, ხოლო მეორეს მხრივ თავად ნ. კ.-ის ავადმყოფობდა და ქ. .ქ.-სა და შ. პ. ბ.-ს გარანტიისათვის სურდათ საცხოვრებლის ოფიციალური მესაკუთრეობა. თუმცა, შეთანხმების მიხედვით, შ. პ. ბ. არ გაყიდდა სახლს.

3.13. მოწმის განცხადებით, ა. გ. არ იყო დეტალების საქმის კურსში. იგი აპელაციის შემდეგ არ ჩარეულა ამ საქმეში.

3.14. მოწმის განმარტებით, ნასყიდობის ხელწერილს ა. გ. ხელს აწერს, როგორც მოწმე, მიუხედავად იმისა, რომ მითითებულია, როგორც მ. ნ.-ის წარმომადგენელი. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ იგი მითითებულია მსესხებლად, წარმოადგენდა მხოლოდ გარანტს, ხოლო მსესხებელი იყო მ. ნ.. ა. გ.-ს კონსულტაცია მ. ნ.-ისათვის არ მიუცია ამ საკითხებზე.

3.15. მოწმის განცხადებით, ა. ა.-ის ვალი მ. ნ.-ს არ აქვს გასტუმრებული, ხოლო ბინა მ. ნ.-ის თანხმობის გარეშე გადაუფორმდა შ. პ. ბ.-ს.

4. მოწმის პოზიცია:

4.1. მოწმე მ. ბ.-მ ეთიკის კომისიაში ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2016 წლის 22 აპრილს. მოწმის განცხადებით, იგი 2011 წელს, სავარაუდოდ იანვარში, შეხვდა გ. ლ.-ის ოჯახს, ადვოკატ ა. გ.-ის ოფისში. მოწმე ა. გ.-ის ოჯახის ახლობელია და ადვოკატთან მივიდა კონსულტაციის მისაღებად. მ. ბ.-ს განმარტებით, მან იცოდა, რომ მ. ნ.-სა და მის მეუღლეს - საჩივრის ავტორს ეკარგებოდათ ბინა, უნდა ჩატარებულიყო აუქციონი, ხოლო სამართლებრივად ეხმარებოდნენ ა. გ. და მისი მეუღლე ნ. კ..

4.2. მოწმის განცხადებით, იგი ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თანხა ნაცნობობით მოიძია ნ. კ.-მ იმისათვის, რომ აუქციონზე ბინა რომ არ გასხვისებულიყო სხვა პირზე. ამ თანხით შეძენილ იქნა აღნიშნული უძრავი ქონება, რომელიც უნდა დაბრუნებოდა გ. ლ.-ის ოჯახს. ასევე, თანხის ნაწილი, კერძოდ, 7 000 (შვიდი ათასი) აშშ დოლარი მოიპოვა ნ. ნ.-მ, რომელიც იყო ა. გ.-ის კოლეგა და მუშაობდა იგივე შენობაში. თანხის სესხება მოხდა ნ. ნ.-ის ნათესავისაგან. ეს თანხა უნდა გადაცემულიყო მ. ნ.-ის ოჯახისთვის.

4.3. მოწმის განმარტებით, აუქციონი ჩატარდა 2011 წლის თებერვალში და ვინაიდან თანხა მოიძია ნ. კ.-მ, ბინის შემძენად უნდა დარეგისტრირებულიყო თავად ნ. კ.. ბინა უნდა გაიყიდულიყო ან გამოყენებულიყო იპოთეკის საგნად, რის შემდეგაც თანხობრივად ყველა ვალი გასტუმრებული იქნებოდა, ხოლო ბინა ოფიციალურად გაფორმდებოდა კვლავ გ. ლ.-ისა და მ. ნ.-ის სახელზე. მოწმის განცხადებით, გ. ლ. თანახმა იყო ბინა გაყიდულიყო, თუმცა, იგი ვერ გაიყიდა, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, იყო შეუსაბამოდ მაღალი ფასი.

4.4. მოწმის განცხადებით, ნ. კ. და ა. გ. ეხმარებოდნენ გ. ლ.-სა და მის მეუღლეს, რაც გამოიხატა იმაში, რომ ბინა არ გაიყიდა და ოჯახი დღემდე არ არის გამოსახლებული. ყველა მოქმედება განხორციელდა გ. ლ.-ის თანხმობით.

4.5. მოწმის განმარტებთ, თავად თანხის გამსესხებელი ქ. .ქ. არ იყო თანახმა, რომ აუქციონზე ნ. კ.-ის გარდა სხვა პირიც ყოფილიყო ჩართული. მ. ბ.-ს განცხადებით, ნ. ნ. ითხოვს თანხის დაბრუნებას და

განცხადებით მიმართა კიდეც აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ძირი თანხის დაკისრების მოთხოვნით.

5. მოწმის პოზიცია:

5.1. მოწმე ნ. ნ.-მ ეთიკის კომისიაში ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2016 წლის 04 მაისს. მოწმის განცხადებით, მას ოფისი ჰქონდა იმავე შენობაში, სადაც ადვოკატ ა. გ.-ს. იგი იცნობს ა. გ.-ს და იცოდა, რომ მასთან ხშირად მიდიოდა მ. ნ., სამართლებრივი დახმარების თხოვნით, ხოლო საქმე ეხებოდა საცხოვრებელ ფართს. ა. გ. და მისი მეუღლე, ნ. კ. წარმოადგენდნენ საჩივრის ავტორს და მის მეუღლეს.

5.2. მოწმის განმარტებით, მ. ნ.-ს ესაჭიროებოდა განსაზღვრული რაოდენობის თანხა იპოთეკარების გასასტუმრებლად. მოწმის განცხადებით, მის ნათესავს - ა. ა.-ს გააჩნდა გარკვეული რაოდენობის თანხა - 7 000 (შვიდი ათასი) აშშ დოლარი და სურდა მისი გამოყენება საქმიანად. ნ. ნ.-მ მას ურჩია მიემართა ნ. კ.-ისათვის, რადგან ჰქონდა ინფორმაცია მ. ნ.-ის საქმის შესახებ. ა. ა.-მ სესხის სახით გადასცა მ. ნ.-ს თანხა.

5.3. მოწმის განცხადებით, ვალი მ. ნ.-ის არ დაუბრუნებია. მან მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა გამარტივებული წარმოების წესით თანხის გადახდევინება, რის შედეგადაც შედგა გადახდის გრაფიკი, თუმცა, ამ ვადის გასვლის შემდეგაც არ შესრულდა ვალდებულება.

5.4. მოწმის განმარტებით, სავარაუდოდ ა. ა. დათანხმებოდა ბინის თანამესაკუთრედ რეგისტრაციას, მაგრამ მისთვის ეს შეთავაზება არ გაუკეთებიათ.

6. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

6.1. 2014 წლის 24 ნოემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. გ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

6.2. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ა. გ.-მ არ იმოქმედა კლიენტის მითითებების შესაბამისად, მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენა პირადი და სხვა პირთა ინტერესი დ წარმოადგენდა ერთ საქმეში განსხვავებული ინტერესების მქონე პირებს, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „ე“ქვეპუნქტები, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–5 მუხლი, მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

6.3. საპროცესო კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და მიიჩნია, რომ საქმეში მოიპოვებოდა მტკიცებულებები საპროცესო კოლეგიისათვის დასაბუთებული ვარაუდის საკმარისი საფუძვლის შესაქმნელად, ადვოკატის მიერ მისი კლიენტის ინტერესის უგულებელყოფის შესახებ სხვა პირის ინტერესის დაკმაყოფილების შესახებ. დოკუმენტების მიხედვით დასტურდებოდა გ. ლ.-ისა და მ. ნ.-ის მიერ ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, საპროცესო კოლეგიას გაუჩნდა გონივრული ვარაუდი, რომ, სავარაუდოდ, საჩივარში მითითებული გარემოებები შეესაბამებოდა სიმართლეს და, შესაძლოა, ადვოკატ ა. გ.-ის მხრიდან დარღვეული ყოფილიყო მითითებული ნორმები.

7. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

7.1 ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 23 ოქტომბრის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა პირველ დისციპლინურ კოლეგიას. პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომა ჩაატარა 2016 წლის 22 აპრილსა და 04 მაისს და იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების" შესახებ დებულების 36-ე მუხლით, 2016 წლის 04 მაისის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

7.2 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. გ.-ის მიერ დარღვეულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა", ,,ბ" და ,,ე" ქვეპუნქტები, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

7. საქმის ფატობრივი გარემოებები

7.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:
საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

7.1.1. ადვოკატი ა. გ., მის მეუღლესთან, ნ. კ.-სთან ერთად, წარმოადგენდა გ. ლ.-ის ინტერესებს უვადო მინდობილობის საფუძველზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2010 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, გაცემული განუსაზღვრელი ვადით.

7.1.2. ა. გ. წარმოადგენდა მისი მეუღლის, ნ. კ.-ის ინტერესებს 2011 წლის 09 თებერვლიდან 09 მარტამდე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2011 წლის 09 თებერვალს გაფორმებული ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, გაცემული ერთი თვის ვადით.

7.1.3. 2011 წლის 21 იანვარს მ. ნ. და ნ. კ.-მ ერთობლივად ისესხეს 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარი ქ. .ქ.-ისაგან, საჩივრის ავტორისა და მისი მეუღლის საცხოვრებლის გამოსასყიდად, თანხის საერთო ვალდებულებით დაბრუნების პირობით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2011 წლის 21 იანვრის ხელწერილი.

7.1.4. 2011 წლის 20 იანვარს მ. ნ. ისესხა 7 000 (შვიდი ათასი) აშშ დოლარი ა. ა.-საგან.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1.მ. ნ.-ის 2011 წლის 20 იანვრის ხელწერილი

2.2011 წლის 20 იანვრის სანოტარო წესით დამოწმებული სესხის ხელშეკრულება

7.1.5. აუქციონზე მონაწილეობის თანხა გადაიხადა ი. ნ.-მ - მ. ნ.-ის შვილმა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ვალუტის კონვერტაციის ქვითარი ი. ნ.-ის სახელზე.

7.1.6. განმეორებით აუქციონზე ქონება გაიყიდა 47 814 (ორმოცდაშვიდიათას რვაას თოთხმეტი) აშშ დოლარად და 2 281 (ორიათას ორას ოთხმოცდაერთი) ლარად.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2011 წლის 11 თებერვლის ოქმი განმეორებითი იძულებითი საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ.

7.1.7. ადვოკატ ა. გ.-ს არ უცდია დეპოზიტზე თანხის განთავსების გზით, აღმასრულებელისათვის თანხის გადაცემის გზით გ. ლ.-ის მხარის დავალიანების გადახდა და/ან აუქციონის შეჩერება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატ ა. გ.-ის ზეპირი ახსნა-განმარტება 2017 წლის 12 ოქტომბრის ეთიკის კომისიის სხდომაზე.

7.1.8. აუქციონის მიმდინარეობისას ადვოკატი ა. გ. წარმოადგენდა როგორც გ. ლ.-ის, ისე ნ. კ.-ის ინტერესებს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2010 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, გაცემული განუსაზღვრელი ვადით.
2. 2011 წლის 09 თებერვალს გაფორმებული ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, გაცემული ერთი თვის ვადით.

7.1.9. აუქციონის შედეგად, ქონების ოფიციალური მესაკუთრე გახდა ნ. კ..

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2011 წლის 11 თებერვლის ოქმი განმეორებითი იძულებითი საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ.

7.1.10. ნ. კ.-მ ქონება გაასხვისა შ. პ. ბ.-ზე, რომელიც შემდგომ, იძულების წესით ითხოვდა გ. ლ.-ისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლებას.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1.2011 წლის 08 სექტემბრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება.

2.შ. პ. ბ.-ის განცხადება ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილების უფროსს.

7.2. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის სადავო ფაქტობრივი გარემოებები.

8. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. გ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

9. სამართლებრივი შეფასება

9.1. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. გ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

9.1.1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები: „ადვოკატი ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები;

ბ) ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;

გ) არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

9.1.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

9.1.3. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.“

9.1.4. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი: “ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.”

9.1.5. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

9.2. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს მისი ინტერესების დაცვას, პირად და სხვა პირთა ინტერესებთან უპირატესობის გათვალისწინებით.

9.3. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №022/11, დაადგინა: „კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შეიძლება შეფასდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობაზე,

ასევე, ადვოკატთა პროფესიულ კორპორატიულ ინტერესსზეც. ადვოკატი მხოლოდ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს, რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს.“

9.4. განხილვის კოლეგიის 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე 092/10 დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე მითითებულია: „ადვოკატმა, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანასკნელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა. საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შემდეგ, ადვოკატს გააჩნია მთელი რიგი ვალდებულებები ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, რომელთა დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალობის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება. ადვოკატმა ყოფილი კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს და უნდა აიცილოს ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნების საფრთხის შექმნა.“

9.5. საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ, 2011 წლის 20 იანვარს, მომჩივან გ. ლ.-სა და მის მეუღლეს საბანკო ანგარიშზე ჰქონდათ 46 000 (ორმოცდაექვსი ათასი) აშშ დოლარი. შესაბამისად, შესაძლებელი იყო აღნიშნული თანხით სესხის თანხის დაფარვა, ვინაიდან სესხის თანხა შეადგენდა 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარს, 7%-იანი სარგებლით. პირველი აუქციონი გაიმართა აღნიშნული თარიღის შემდეგ, 27 იანვარს. 11 თებერვალს ქონება აუქციონზე გავიდა განმეორებით. გარდა ამისა, ა. გ.-მ და მისმა მეუღლემ საჩივრის ავტორის მხარეს დამატებით ასესხებინა 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარი აუქციონზე მონაწილეობისათვის. მიუხედავად ამისა, მოვალე მხარისთვის არ იქნა სასესხო ვალდებულება შესრულებული და თანხა არც აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადაირიცხა.

9.6. ეთიკის კომისია ითვალისწინებს ადვოკატის ახსნა-განმარტებას, რომ გ. ლ.-ისა და ნ. ნ.-ის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს არ სურდა თანხის მიღება და მისი ინტერესი იყო ბინის მიღება, თუმცა, მიუთითებს, რომ, მიუხედავად ამისა, აღმასრულებელისათვის თანხის გადაცემის შემთხვევაში აუქციონი შეჩერდებოდა და ის მიზანი, რომლის გამოც მოხდა ადვოკატ ა. გ.-სთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება, თავისთავად შესრულებული იქნებოდა, შემდგომი პროცედურების საჭიროების გარეშე. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ამ ქმედების განხორციელება წარმოადგენდა ადვოკატის კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების ნაწილს. ა. გ. ვერ ადასტურებს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით თავად გ. ლ. იყო წინააღმდეგი.

9.7. აუქციონზე მონაწილეობას იღებდა ადვოკატი ა. გ. მისი მეუღლის, ნ. კ.-ის სახელით. იმ მომენტისათვის, ა. გ. წარმოადგენდა ორივე მხარის ინტერესებს. მან იცოდა, რომ მსესხებელი და ქონების რეალური მესაკუთრე უნდა ყოფილიყო მ. ნ., თუმცა, ქონება დაარეგისტრირა ნ. კ.-ის სახელზე. შესაბამისად, სიტუაციის მიხედვით, ა. გ.-მ საჩივრის ავტორის მხარეს ასესხებინა თანხა, არ მისცა მისი განკარგვის საშუალება და სწორედ აღნიშნული თანხით შეიძინა ნ. კ.-მ სახლი, ხოლო შემდგომ, ეს ქონება უნებართვოდ გადაუფორმა შ. პ. ბ.-ს. ამის შესახებ ინფორმაციაც არ ჰქონდა

მიწოდებული ნ. ნ.-სა და გ. ლ.-ს. გასათვალისწინებელია, რომ თუმცა ქონება გადაფორმებულია უკვე სხვა პირზე, დღესაც არსებობს სესხის თანხის დაბრუნების მოთხოვნა.

9.8. ეთიკის კომისია, აღნიშნული საკითხის განხილვისას მიუთითებს თავად ადვოკატისა და მისი მეუღლის ახსნა-განმარტებებზე, რომელშიც განმარტებულია, რომ ნ. კ. ფორმალურად უნდა გაფორმებულიყო ბინის მესაკუთრედ, ხოლო რეალური მესაკუთრე უნდა ყოფილიყო გ. ლ. ან მისი მეუღლე, ხოლო ეს ფორმალური ქმედება განხორციელდა საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახის ინტერესების დასაცავად. თუმცა, რეალური, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ქმედებები განხორციელდა საჩივრის ავტორისა და მისი მეუღლის - მისი წარმომადგენლის საზიანოდ. ნ. კ. თავადაც ითხოვდა მათ გამოსახლებას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით. თავად ბინის ახალი მესაკუთრეს, შ. პ. ბ.-საც სურდა გ. ლ.-ისა და მისი მეუღლის გამოსახლება.

9.9. ადვოკატი და მისი მეუღლე თავად ადასტურებენ, რომ ა. გ. იყო გ. ლ.-ის ადვოკატი. ეთიკის კომისიის მოსაზრებით, სწორედ ა. გ.-ის - გ. ლ.-ის ადვოკატის ქმედებების შედეგად ქონება გადაფორმდა სხვა პირზე და გადაუწყვეტლად დარჩა სესხის თანხის გადახდის საკითხიც. (40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარის და სარგებლის გადახდას ითხოვს ქ. .ქ., ხოლო 7000 (შვიდი ათასი) აშშ დოლარის გადახდაზე ა. ა.-ის სასარგებლოდ გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.) ამავდროულად, განსახილველია საკითხი, თუ სხვის სახელზეა ქონება, რატომ უნდა დაბრუნდეს სესხის თანხა, ხოლო თუ უნდა დაბრუნდეს, რატომ არ არის ქონება საჩივრის ავტორის სახელზე.

9.10. ეთიკის კომისია უთითებს, რომ რეალურად თანხის დაბრუნების ვალდებულება ყველა გაცემულ სესხთან მიმართებით ჰქონდა ნ. ნ.-ს. ა. ა.-ისაგან თანხის სესხებისას დაფიქსირებულია ნ. ნ., როგორც სესხის დაბრუნების ვალდებულების მქონე პირი. ასევე, ქ. .ქ.-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მსესხებლად დაფიქსირებულია ნ. ნ. ნ. კ.-სთან ერთად, ხოლო თანხის დაბრუნების რეალური ვალდებულება ჰქონდა სწორედ ნ. ნ.-ს, რადგან საკითხი ეხებოდა მისი ბინის დაბრუნებას და ნ. კ. ასრულებდა შუამავლის-გარანტის ფუნქციას. როგორც თავად ა. გ. აღნიშნავს, გარკვეული თანხა აუქციონზე ბინის შესყიდვისათვის გადაიხადა თავად ნ. ნ.-მ და, ასევე, თანხა აუქციონზე მონაწილეობისათვის გადაიხადა ი. ნ.-მ, ნ. ნ.-ის შვილმა. შესაბამისად, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, შედეგი რომელიც დადგა კლიენტების მიმართ, სწორედ ამ პრინციპების დარღვევას მოიცავს. ადვოკატ ა. გ.-ის მხრიდან განხორცილებული ქმედების შედეგად საჩივრის ავტორმა დაკარგა ბინა რომლის ღირებულებაც იყო 400 000 (ოთხასი ათასი) აშშ დოლარი, 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარი (აუქციონში მონაწილების საფასური) და ამავდროულად დაეკისრა თანხის 7000 (შვიდი ათასი) აშშ დოლარის (რომელიც ა. გ.-ს გადასცა ბინის შესაძენად) გადახდა.

9.11. ასევე, ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ სესხის ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმდა ქ. .ქ.-სთან, მსესხებლად მითითებული იყო ორი პიროვნება - ნ. კ. და მ. ნ.. ა. გ. იმ დროისათვის წარმოადგენა ორივეს ინტერესებს. სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო სესხის თანხა მ. ნ.-ს ვერ გადაეხდა და შემდეგ სწორედ მისგან უნდა მოეთხოვა აღნიშნული თანხა, რეგრესის წესით, ნ. კ.-ს. ნ. კ. შემდგომ ითხოვდა კიდეც სესხის თანხას. შესაბამისად, სახეზე იყო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, რომელიც 2011 წლის 21 იანვრიდან წარმოიშვა.

9.12. ეთიკის კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემასუბუქებელ და

დამამძიმებელ გარემოებებს. კომისიამ გაითვალისწინა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე, ფაქტი, რომ მან რეალურად არ განახორციელა კლიენტის ინტერესების დაცვა - გ. ლ.-მ და ნ. ნ.-მ დაკარგეს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა, მიუხედავად ამისა, კვლავ, რეალურად, აქვთ დასაბრუნებელი სესხის თანხა, რომელიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საკმარისი იყო ვალდებულების დასაფარად და ბინის საკუთრებაში დასარჩენად, თუმცა, ადვოკატის მიერ არ განხორციელდა შესაბამისი ქმედება - აღმასრულებელისათვის თანხის გადაცემა; ასევე, ბინის ფორმალური მესაკუთრის - ნ. კ.-ის მიერ გ. ლ.-ის მხარის თანხმობისა და ინფორმაციის მიწოდების გარეშე ბინა საკუთრებაში გადაეცა შ. პ. ბ.-ს; დამატებით, ა. გ. წარმოადგენდა ნ. კ.-ისა და გ. ლ.-ის მხარის ინტერესებს ერთობლივად, როდესაც მათ ჰქონდათ ინტერესთა კონფლიქტის მნიშვნელოვანი საფრთხის შემთხვევა, მიიჩნია, რომ სახდელის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპის გათვალისწინებით ადვოკატ ა. გ.-ს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპების დარღვევის მიზეზით სახდელის სახით უნდა განესაზღვროს 6 (ექვსი) თვის ვადით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ადვოკატისათვის დადებული სახდელი მიმართულია ადვოკატის პროფესიული ღირსების ამაღლებისაკენ და წარმოადგენს საზოგადოებაში ამ პროფესიისადმი ღირსეული დამოკიდებულების დამკვიდრების გარანტს, რადგან პროფესიულ ავტორიტეტს ქმნის როგორც ყველა ადვოკატის, ასევე ინდივიდუალურად რომელიმე ადვოკატის ეთიკური სტანდარტების დაცვით გაწეული მომსახურება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–5 მუხლით, მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6, მე-7, მე-11, მე-16, მე-17, მე-19- მე-20, 21-ე, 36-ე, 37-ე, 39-ე, მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ა. გ.-ის მიმართ /სიითი № / დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 06 (ექვსი) თვის ვადით.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ა. გ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კომისიის წევრი:	/ქეთევან უტიაშვილი/
კომისიის წევრი:	/პავლე აბაიაძე/
კომისიის წევრი:	/თეა ჭეიშვილი/
კომისიის წევრი:	/ნელი ვარდიაშვილი/
კომისიის წევრი:	/ნათია კორკოტაძე/
კომისიის წევრი:	/ინგა სეხნიაშვილი/
კომისიის წევრი:	/თორნიკე ბაქრაძე/
კომისიის წევრი:	/გოჩა სვანიძე/
კომისიის წევრი:	/ხათუნა გრიგალაშვილი/
კომისიის წევრი:	/ია გაბედავა/
კომისიის წევრი:	/სულხან ონიანი/